ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

UNDP

საქართველოს 2021 წლის მუნიციპალური არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა

სატელევიზიო მედიის მიერ საქართველოს საარჩევნო პროცესებზე უცხოური გავლენის აღქმა

სატელევიზიო მედიის თემატური მონიტორინგის
წინასწარი ანგარიში

3 აგვისტო - 24 სექტემბერი, 2021

CRRC საქართველო
კავკასიის კვლევითი
რესურსების ცენტრი

წინამდებარე ანგარიში მომზადებული და გამოცემულია კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი და მისი შინაარსის აღქმა ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციად დაუშვებელია.

საქართველოს 2021 წლის მუნიციპალურ არჩევნებზე უცხოური გავლენების აღქმა სატელევიზიო მედიაში: თემატური მონიტორინგის წინასწარი ანგარიში

გაეროს განვითარების პროგრამისა და ევროკავშირის პროექტის ფარგლებში „საქართველოს 2021 წლის მუნიციპალური არჩევნების გაშუქების კვლევა მედიაში“, CRRC-საქართველო სატელევიზიო არხების თემატურ მონიტორინგს ახორციელებს. მონიტორინგი მოიცავს საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებს ხუთ სატელევიზიო არხზე: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, რუსთავი 2, იმედი, მთავარი არხი და ტვ პირველი. თემატური მონიტორინგის მიზანია, შეისწავლოს, თუ როგორ აღიქვამს სატელევიზიო მედია უცხოურ გავლენებს 2021 წლის მუნიციპალურ არჩევნებზე, დააკვირდეს, რომელი უცხოელი აქტორები შუქდებიან ყველაზე ხშირად და როგორია გაშუქების ტიპი და ხასიათი.

ამ მიზნის მისაღწევად თემატური მონიტორინგი კვლევის რაოდენობრივ და თვისებრივ კომპონენტებს იყენებს და ითვლის უცხოელი აქტორებისთვის დათმობილ დროს, პირდაპირ წარმოჩენასა თუ ირიბ საუბარს, ასევე გაშუქების ტონს; და აკვირდება ახალ ამბებში უცხოელი აქტორების გაშუქების მიზანსა და ხასიათს, რამდენად ხდება უცხოელი აქტორების მიერ სიუჟეტებში ქართული პოლიტიკური და საარჩევნო პროცესების მხარდაჭერა ან დისკრედიტაცია. მონიტორინგი მოიცავს სიუჟეტებს არჩევნებისა და პოლიტიკის თემაზე, ასევე, ნებისმიერ სხვა თემაზე მომზადებულ სიუჟეტს, სადაც საარჩევნო სუბიექტები და ხელისუფლების წარმომადგენლები არიან გაშუქებული.

მოცემული დოკუმენტი კვლევის წინასწარი ანგარიშია და 2021 წლის 3 აგვისტოდან 24 სექტემბრამდე პერიოდში თემატური მონიტორინგის ძირითად მიგნებებს აჯამებს.

ძირითადი თემები, რომლებთან კავშირშიც მოცემულ პერიოდში სატელევიზიო ახალ ამბებში უცხოელი აქტორები შუქდებოდნენ, შემდეგია: შარლ მიშელის დოკუმენტი, მასზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელმოწერა, დოკუმენტის ანულირება, ევროკავშირისთვის სესხზე უარის თქმა, ოფიციალური მოსკოვის გზავნილი თანამშრომლობის აღდგენის შესახებ, რუსეთის ოკუპაციური პოლიტიკა, ნატოს სამხედრო წვრთნები, ბელარუსთან დადებული მემორანდუმი, პრემიერმინისტრის ვიზიტი უკრაინაში, წინასაარჩევნო კვლევები და სადამკვირვებლო მისიები, პრემიერმინისტრის ვიზიტი აშშ-ში გაეროს გენერალურ ასამბლეაზე. თემები განსაზღვრავდა უცხოელი აქტორების გაშუქების სიხშირესაც.

მონიტორინგის მოცემულ პერიოდში (3 აგვისტოდან 24 სექტემბრის ჩათვლით) ყველაზე ხშირად გაშუქებული უცხოელი აქტორები იყვნენ: ევროკავშირი, აშშ და რუსეთი. საინტერესოა, რომ დაკვირვების ქვეშ მყოფი ხუთი არხიდან სამზე: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე, იმედსა და რუსთავი 2-ზე ევროკავშირი უცხოელი აქტორებისთვის დათმობილი დროის მეოთხედის განმავლობაში გაშუქდა. ამ არხებზე მსგავსი იყო ყველაზე ხშირად გაშუქებული უცხოელი აქტორების ტოპ ოთხეულის თანმიმდევრობა და დათმობილი დროის წილი: ევროკავშირი, აშშ, რუსეთი, უკრაინა. დანარჩენ ორ არხზე, მთავარ არხსა და ტვ პირველზე, უცხოელი აქტორებიდან ყველაზე ხშირად რუსეთზე იყო საუბარი და იგი უცხოელი

აქტორებისთვის დათმობილი დროის დაახლოებით მესამედის განმავლობაში შუქდებოდა. მომდევნო ყველაზე ხშირად გაშუქებული უცხოელი აქტორი ევროკავშირი იყო.

ევროკავშირისა და რუსეთის შემთხვევაში სატელევიზიო არხებზე გარკვეული კონსენსუსიც კი გამოიკვეთა გაშუქების ტონის თვალსაზრისით: ევროკავშირის შემთხვევაში ხშირი იყო ნეიტრალური და დადებითი ტონით გაშუქება, რუსეთი კი - დათმობილი დროის უმეტესობის შემთხვევაში ყველა არხზე უარყოფითი ტონით შუქდებოდა (იხ. დიაგრამა 1 და 2).

დიაგრამა 1: ევროკავშირის გაშუქება ხუთ სატელევიზიო არხზე ტონის მიხედვით



ევროპა და ევროპული ინტეგრაცია ხშირად წარმოჩენილი იყო, როგორც საქართველოს ისტორიული გზის გაგრძელება და პროგრესის კურსი. თუმცა, ხშირი იყო აქცენტი იმაზე, რომ დასავლურ პოლიტიკურ კურსზე უარის თქმა ავტომატურად პრორუსულ ქმედებას ნიშნავდა და პირიქით. ასევე იმაზე, რომ წინასაარჩევნო გარემოს წარმართავდა ორი პოლუსი - დასავლეთი და რუსეთი, და, როგორც ოპოზიცია და ოპოზიციის მიმართ ლოიალური არხები განსაკუთრებით უსვამდნენ ხაზს, არჩევნებზე წყდებოდა, საქართველო დასავლეთისკენ წავიდოდა თუ რუსეთისკენ.

დიაგრამა 2: რუსეთის გაშუქება ხუთ სატელევიზიო არხზე ტონის მიხედვით



თუმცა, გაშუქების ტონის მიუხედავად, განსხვავებული იყო სიუჟეტებში ამ აქტორების წარმოჩენის მიზანი, რაც სატელევიზიო არხების სარედაქციო პოლიტიკის მიკერძოებაზე მიანიშნებდა. ისევე, როგორც 2020 წლის თემატური მონიტორინგის დროს, გამოიკვეთა, რომ უცხოელი აქტორების გამოყენებით ხდებოდა პოლიტიკური გუნდების პროგრესულად ან რეგრესულად წარმოჩენა, მათი შექება ან დისკრედიტაცია. ევროკავშირთან, აშშ-თან და დასავლეთთან კარგი ურთიერთობა და ღირებულებითი სიახლოვე, ასევე მათი მხრიდან მხარდაჭერა პოლიტიკურ ძალას დადებითად ახასიათებდა, მათი კრიტიკა - უარყოფითად. იგივენაირად, რუსეთთან სიახლოვე პოლიტიკურ ძალას „მტერთან“ და „ოკუპანტთან“ მოკავშირედ წარმოაჩენდა და მის დისკრედიტაციას ნიშნავდა. რიგი საკითხების გაშუქება განსხვავებული ინტერპრეტაციითა და საკითხის სხვადასხვა მხარეზე ყურადღების გამახვილებით სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა.

მაგალითად, განსხვავებულად გაშუქდა ბელარუსთან გაფორმებული ხელშეკრულება. ზოგ შემთხვევაში ხელისუფლების მხრიდან ეს აქტი წარმოდგენილი იყო, როგორც სამშობლოს ღალატი და სამარცხვინო საქციელი. არხების ნაწილი კი ხელშეკრულების დადებით მხარეებზე აკეთებდა აქცენტს. საკმაო დრო დაეთმო ავღანეთში არსებული სიტუაციისა და ქართველების ევაკუაციის საკითხს. ამ შემთხვევაშიც თემა სატელევიზიო არხებმა განსხვავებულად წარმოაჩინეს. ზოგმა ხაზი გაუსვა საქართველოს მთავრობის წარმატებულ მუშაობას პარტნიორ ქვეყნებთან ქართველების ევაკუაციის უზრუნველსაყოფად, ხოლო

არხების ნაწილმა ყურადღება ავღანეთში ჩარჩენილ საქართველოს მოქალაქეებსა და ხელისუფლების უმოქმედობაზე გაამახვილა.

განსხვავებული იყო უკრაინაში ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტის გაშუქების მოცულობა და აქცენტები. საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე, რუსთავი 2-სა და იმედზე გასულ სიუჟეტებში საქართველოსა და უკრაინის საერთო ღირებულებებსა და მისწრაფებებზე კეთდებოდა აქცენტი, იმაზე, რომ ორივე ქვეყნის მიზანი ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანება და დეოკუპაციისთვის ბრძოლაა. უკრაინა ნახსენები იყო, როგორც საქართველოს გამორჩეული პარტნიორი და მეგობარი ქვეყანა. მეორეს მხრივ, მთავარმა არხმა და ტვ პირველმა ყურადღება უკრაინაში ღარიბაშვილისა და შარლ მიშელის არაფორმალურ შეხვედრაზე გაამახვილეს, უფრო სწორად კი შარლ მიშელის ტვიტერის პოსტზე, რაც წარმოდგენილი იყო, როგორც საქართველოს მთავრობის უკანასკნელი გაფრთხილება, რომ თუკი 19 აპრილის შეთანხმებით გათვალისწინებული რეფორმები არ შესრულდებოდა, საქართველო ევროკავშირის დახმარების გარეშე დარჩებოდა. შესაბამისად, უცხოელი აქტორების გაშუქების ნაწილშიც მკვეთრად გამოჩნდა სატელევიზიო ახალი ამბების პოლარიზება.

რაც შეეხება საარჩევნო პროცესებში ჩარევას, ამ მხრივ საუბარი იყო რუსეთზე. დაკვირვების ქვეშ მყოფ ზოგ არხზე გავიდა სიუჟეტები რუსეთის მიერ ქართველი პოლიტიკოსების (ბიძინა ივანიშვილის, სალომე ზურაბიშვილის, მიხეილ სააკაშვილის) დაფინანსებაზე, ქართული პოლიტიკური პარტიის წერილზე კრემლში, რომელიც თანამშრომლობას ითხოვდა, ფონდი „ქართუს“ მიერ კრემლის პოლიტიკის გამტარებელი ორგანიზაციის „რუსული კლუბის“ დაფინანსებაზე, რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულების ზრდაზე, რუსი ჟურნალისტისა თუ რუსული დაჯგუფების წევრების ვიზიტზე, რასაც საქართველოს უსაფრთხოების სამსახურმა ხელი არ შეუშალა. დასავლელი აქტორების მხრიდან წინასაარჩევნო პროცესებში ჩარევას ნაკლებად ესმებოდა ხაზი, თუმცა, ზოგ შემთხვევაში (მაგალითად, ფარულ მოსმენებზე კარლ ჰარცელის განცხადების შემდეგ) საქართველოს მმართველი პარტიის წარმომადგენლების შეფასებით, დასავლელი აქტორების განცხადებები დიპლომატიის ფარგლებს სცდებოდა.

მოცემული წინასწარი ანგარიში თემატური მონიტორინგის შედეგების მოკლე მიმოხილვას წარმოადგენს. მონიტორინგი არჩევნების შემდეგაც გაგრძელდება და საბოლოო ანგარიშში დეტალურად იქნება წარმოდგენილი მიგნებები დაკვირვების ქვეშ მყოფი თითოეული არხისთვის. დანართში მოცემულია თითოეულ სატელევიზიო არხზე გაშუქებული უცხოელი აქტორებისთვის დათმობილი დრო ტონის მიხედვით.

დანართი - დიაგრამები: თითოეულ სატელევიზიო არხზე უცხოელი სუბიექტების გაშუქება დათმობილი დროისა და ტონის მიხედვით

შენიშვნა: დიაგრამებზე დატანილია ის სუბიექტები, რომლებსაც ამ არხზე ახალ ამბებში უცხოელი აქტორებისთვის დათმობილი დროის 2% მაინც დაეთმო.

დიაგრამა 1: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე უცხოელი აქტორების გაშუქება ტონის მიხედვით



დიაგრამა 2: იმედზე უცხოელი აქტორების გაშუქება ტონის მიხედვით



დიაგრამა 3: რუსთავი 2-ზე უცხოელი აქტორების გაშუქება ტონის მიხედვით



დიაგრამა 4: მთავარ არხზე უცხოელი აქტორების გაშუქება ტონის მიხედვით



დიაგრამა 5: ტვ პირველზე უცხოელი აქტორების გაშუქება ტონის მიხედვით